<u>ტვირთის თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენის ინსტრუქცია საკონტეინერო გემებისათვის</u>

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია APM Terminals Poti-ს (სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის) მიერ 2024 წლის 22 ივლისს.

მიზანი

წინამდებარე ინსტრუქციაში გაწერილია მკაფიო მითითებები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ საკონტეინერო გემების აგენტებმა/ გადამზიდმა ხაზებმა ტვირთის თანმხლები დოკუმენტაციის დროული წარდგენის შესახებ. ამ ინსტრუქციების ზედმიწევნით შესრულება გადამწყვეტ როლს თანაშობს APM Terminals Poti-ს გამართულ და ეფექტურ მუშაობაზე და ამავდროულად უზრუნველყოფს, რომ ყველა ჩართულმა მხარემ მიაღწიოს თავიანთ საოპერაციო და კომერციულ მიზნებს ისე, რომ თავიდან აცილონ რაიმე ტიპის შეფერხება და ჯარიმა.

გამოყენების სფერო

წინამდებარე ინსტრუქციები ვრცელდება ყველა აგენტზე/გადამზიდავ ხაზებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ტვირთის თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენაზე (ჩატვირთვა-გადმოტვირთვის გრაფიკი, ტვირთის მანიფესტები, გადმოტვირთვა-ჩატვირთვის სიები, CSV ფაილი, ტვირთის შენახვის გეგმა, გემის სერთიფიკატები) კონტეინერიზებული ტვირთისთვის, რომელიც უნდა ჩაიტვირთოს ან გადმოიტვირთოს APM Terminals Poti-ში.

პასუხისმგებლობა

აგენტებმა/გადამზიდავმა კომპანიებმა უნდა დაიცვან განაცხადის ვადები და მოთხოვნები, რომლებიც მითითებულია ამ ინსტრუქციაი, რათა უზრუნველყონ საოპერაციო და მარეგულირებელ სტანდარტებთან შესაბამისობა.

მასალების წარდგენის მოთხოვნები

1. **დოკუმენტაციის წარდგენა**

• ბოლო ვადა: ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის დატვირთვა-გადმოტვირთვის განრიგი, ტვირთის მანიფესტები, გადმოტვირთვისა და ჩატვირთვის სიები, ტვირთის შენახვის გეგმა და გემის სერთიფიკატები, უნდა იყოს წარმოდგენილი საკონტეინერის გემის ჩამოსვლამდე არაუგვიანეს 24 საათისა.

• საჭირო დოკუმენტები:

ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის განრიგი: აღწერს ტვირთის დატვირთვისა და გადმოტვირთვის დაგეგმილ აქტივობებს.

ტვირთის მანიფესტები: ჩამოთვლილია გემზე არსებული ყველა ტვირთი, მათ შორის გაწერილია მათი აღწერილობები და რაოდენობა.

გადმოტვირთვის სია: გადმოსატვირთი კონტეინერების დეტალები, რაოდენობების, ტიპებისა და წონის ჩათვლით.

დატვირთვის სია: ჩასატვირთი კონტეინერების დეტალები, რაოდენობების, ტიპებისა და წონის ჩათვლით.

CSV ფაილი: საბაჟო ფორმალობების დასასრულებლად და წინასწარი შტაბელირების მოსამზადებლად.

ტვირთის განლაგების გეგმა: აჩვენებს გემზე ტვირთის განლაგებას.

გემის სერთიფიკატები: მოიცავს გემის ექსპლუატაციისა და ტვირთის გადატვირთვისთვის საჭირო სერთიფიკატებს.

ცვლილებების შეტანის პერიოდი: ცვლილების პერიოდი ვრცელდება შემდეგ შემთხვევებში:

ცვლილებების შესახებ შეტყობინების გაგზავნა 36 საათით ადრე:

საკონტეინერო გემებს, აგენტებს/საზღვაო ხაზებს უფლება აქვთ წარადგინონ ან შეცვალონ ჩატვირთვა/გადატვირთვის სიები და ტვირთის მანიფესტები გემის ნავმისადგომთან დადგომის ფაქტობრივ დრომდე (ATB) არაუგვიანეს 36 საათისა.

გემების ნავმისადგომთან დადგომის ფაქტობრივი დრო მითითებულია ნავმისადგომის განრიგში (berth schedule), რომელიც დღეში 2 ჯერ იგზავნება APM Terminals Poti-ს მიერ.

- ადრეული ATB (გემის ნავმისადგომთან დადგომის ფაქტობრივი დრო) განხილვა:

თუ გემის ATB მოხდება ნავმისადგომის განრიგის საბოლოო გამოცხადებულ სავარაუდო დროზე (ETB) უფრო ადრე, საბოლოო გამოცხადებული ETB იქნება დოკუმენტაციის დროული წარდგენის დადგენის ვადა.

- **მოქნილობა:** ცვლილებების შეტანის ეს 36 საათიანი პერიოდი საშუალებას აძლევს აგენტებს/გადამზიდავ ხაზებს განახორციელონ საჭირო ცვლილებები ჯარიმების გარეშე, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას და სიზუსტეს.

2. წარდგენის პროცედურა

მიწოდება, ელექტრონული გზით: ყველა დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად შემდეგ მისამართებზე: apmtpotiplanners@apmterminals.com ; anna.shainidze@apmterminals.com

შესაბამისობა და აღსრულება

დროული წარდგენა:

• მითითებულ ვადაში საჭირო დოკუმენტაციის წარუდგენლობამ შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოს შეფერხება, ნავმისადგოთან დადგომაზე პოტენციური უარი ან დამატებითი ხარჯები.

• APM Terminals Poti-ს იტოვებს უფლებას დააკისროს ჯარიმები განაცხადების დაგვიანებით წარდგენისთვის 36 საათიანი შეტყობინების ვადის მიღმა, APM Terminals Poti-ს სატარიფო განრიგის შესამაბისად.

ინფორმაციის სიზუსტე: უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ტვირთის დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია იყოს ზუსტი და სრული. არაზუსტმა ან არასრულმა დოკუმენტაციამ შეიძლება გამოიწვიოს შეფერხებები, დამატებითი ხარჯები და დააყენოს პოტენციური, სამართლებრივი შედეგები.

საკონტაქტო ინფორმაცია

დოკუმენტაციის წარდგენასთან დაკავშირებით ნებისმიერი კითხვისა თუ დახმარებისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ანა შაინიძეს მისამართზე:

ელ. ფოსტა: anna.shainidze@apmterminals.com

ტელეფონი: +995 599 887 909

საგანგებო სიტუაციის დროს: +995 599 887 791

განხილვა და ცვლილებები

წინამდებარე ინსტრუქციები ექვემდებარება პერიოდულ განხილვას და შეიძლება შეიცვალოს საჭიროებისამებრ, რათა შეესაბამებოდეს ოპერაციულ და მარეგულირებელ ცვლილებებს. ყველა მხარეზე გაიგზავნება მყისიერი შეტყობინება ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

ძალაში შესვლის თარიღი

ეს ინსტრუქცია ძალაში შევა ATB-ის მქონე ყველა გემისთვის ოთხშაბათს, 24 ივლისს, დილის 12:00 საათიდან.

თანხმობა

საჭირო დოკუმენტაციის წარდგენით, გადამზიდავი აგენტი/ხაზი ადასტურებს და ეთანხმება ვალდებულებების შესრულებას ამ ინსტრუქციებში მოცემული პირობებით.